№ 2842
კვირა,
12 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2842
კვირა,
12 ივნისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.**

ფასები შესამჩნევად დაკლებულია

13, 14, 15, 16, 17 და 18 ივნისს

დორონუნევის

ფასები შესამჩნევად დაკლებულია

მთავარ მაღაზიაში, სოლოლაკის ქ. სახ. გურგენოვისა, ტელეფონი № 583. რადგან ძალიან გვიან მივიღეთ სეზონის საქონელი და რომ ეს საქონელი არ დარჩეს გაუყიდავი,

მოსკოვის მთავარ კანტორის განკარგულებით

ზემოაღნიშნულ დღეებში ე. ი. 13—14—15—16—17—და 18 ივნისს

გაიყიდება სეზონის ნივთები შესამჩნევად დაკლებულ ფასებით. (1—238—1)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა.

ალექსანდრე გრიგოლის-ძე წულუკიძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ელენე, დედ-მამა თავადი გრიგოლ სიმონის ძე და მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი და მამიდები კნეინები ნინო ჩიქოვანისა და მარიამ დადიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (ჰ—6.—3)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე

რასაც განსვენებული **ამხანაგები** აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს დილის 9 საათზე. (3—6.—3)

წელიწადი **სანატორიუმი** მეორე

4400 ფუტის სიმაღლე. **საზაფხულო სამყოფი** 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

◆ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ◆

პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჯაოზის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება,

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—14).

რკინის გზის ლიანდაგზე, სადგურ „სერნიე ვოდი"-ს მახლობლათ **ოკრიბაში** გავხსენით

„ძველი საწირის გოგირდის აბანოები",

რომლის მარგებლობა სხვა და სხვა ავადმყოფობისათვის, განსაკუთრებით ქარებისა, თავის ტკივილისა და მისთანებისა, ექიმებისაგან რამდენჯერმე არის შემოწმებული. როგორც აბანოები, ისე სადგომი სახლები, ნომრები ხელახლა არის შეკეთებული სუფთათ და ლამაზათ. ფასი ნომრებისა 30 კ.—60 კ., 1 მან. და 1—20 კ. აბანოების აუზი კი ღირს 40—50 კაპ. და შიგ ჩასვლა ოთხ კაცსაც შეუძლია ამავე ფასში. ეზო და აუზები განათებულია. არის სავაჭრო დუქანი, სადაც ყოველნაირი სასმელ-საჭმელი იშოვება ზომიერ ფასებში. მომსვლელებისათვის არის ცალკე სამზარეულო უფასო შეშით.

აბანოს პატრონი **ლევანტი ქარქაშაძე**

(5—1)

გამოვიდა და იყიდება კარლ კაუცკის

ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი

(საფრანგეთის წარსულიდან)

ანუ კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს. თარგმანილ. ელიავასი.

ფასი ერთი აბაზი. (5—6—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუდარებლად. (0—49)

საპედაგოგიო საბჭო

ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულო, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—2)

გაიღო რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:

ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო.	50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით	75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით	1 მ.

დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფარჯანიძე.**
(15—244—7)

ახალი ბუფეტი

„არარატი"

(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, ½ ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(ივ.—6.—23) პატივის ცემით **ვანო.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

პიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 12.

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—26)

ექიმი

ნ. ტ. მულინი

ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდების ქ. № 26. (20—6.—12)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
10 ივნისი

ტოკიო, 9 ივნისი. ჩრდილოეთ კორეიაში რუსებმა უკან დახევა დაიწყეს. ამბობენ, მათ საზრდო შემოაკლდათ და არც ძალა შესწევდათ დაეფარათ ზურგის ჯარებიო. ტუმენის სამხრეთით ჯერ კიდევ არის 3 ათასამდე რუსი. შეიძლება ითქვას, რომ ლინევიჩი თავს უყრის ჯარს რკინის გზის ლიანდაგისკენ. როგორც ეტყობა, საზრუნველ საგნათ, უმთავრესად, რკინის გზის დაცვა გახდომია ლინევიჩს. ეჭვს გარეშეა, რომ უმთავრესი დამცველი ადგილი მას ჩანტუნსა და გირინს შორის აქვს. იაპონელების ზოგიერთი გაზეთი ირწმუნებიან, ბრძოლას ძლიერ ჩქარა დაიწყებენო, ზოგი კი იმ აზრისაა, რომ შეტაკება არ მოხდება სანამ წვიმების პერიოდი არ გათავდებაო.

ტოკიო, 8 ივნისი. კორეიდან დაბრუნებული კორესპონდენტი აწერს იაპონელების მიერ იქ შემოღებულ რეფორმებს. სამხედრო მთავრობამ გზა გაიყვანა სანროშინის სადგურიდან მოზამპომდე სამხედრო რკინის გზა, სეულისკენ მიმავალი, თითქმის დასრულებულია კიდეც და დაწყებულია ახალის კეთება. მეორე რკინის გზა გავლებულია კეომუდან კენიხოში მდ. იდოკის მარცხენა ნაპირას.—ტოკიოს კაბინეთმა დანიშნა კორეის მთავრობის მრჩევლებათ ამერიკელი სტივენსი და მეგატა, პირველი უცხოეთის საქმეებში და მეორე—ფინანსიურში. კორეის არმიის სარდლათ დაინიშნა გენ. ნოძუ, სახლის-კაცი ცნობილ ნოძუსი, რომელიც მანჯურიის არმიის ფრონტზე იმყოფება. განახლებულია პოლიციაც და კომისსარად იაპონიის აფიცერია დანიშნული. ბრიტანიის საელჩოს ჯარები გამოვლენ სეულიდან 10 ივნისს.—იაპონიაში ჩინეთისთვის ერთი კრეისერი ააშენეს. რუსის ჯარებმა ათი მეთევზე დაჰხოცეს, რომელთაც ნავები დალუპვოდათ სახალინთან.

პარიზი, 10 ივნისი. ბრიუსელში მოვიდა პრინცი არისუგავა, რომელსაც ვოგზალზე მეფე ლეოპოლდი შეეგება. არისუგავა ინგლისში დარჩება ათ დღეს და დაესწრება იაპონიის ჯავშნოსნის ჩაშვებას წყალში.—„ტან"-ი, განიხილავს რა იემენის აჯანყების შედეგს, დაასკვნის, ოსმალეთს ჯარები არა ჰყავს აჯანყების ჩასაქრობათ, რუსეთს კი ორივე ხელები დაბმული აქვსო. ინგლისი, როგორც ეტყობა, ხელს უწყობს აჯანყებას, რომ ბოლოს პროტექტორატი დაარსოს თანახმად არაბის შერიფსა და ლორდ კრომერს შორის დაწყებულ მოლაპარაკებისა. გაზეთი ამბობს, საფრანგეთმა და გერმანიამ არ უნდა დაანებონ ინგლისს განცალკევებული მოქმედებაო.

მოჯი. მანჯურიაში ამ ჟამად ძლიერი წვიმებია. დაბლობები სულ წყალითაა სავსე. გზებზე თითქმის სრულებით შეუძლებელია ქარავნის გატარება. იაპონელები ამ ჟამად უფრო კარგს მდგომარეობაში არიან, ვინაიდან ისინი ძლიერ სწრაფად მოძრაობენ ხოლმე. რუსები მაშველებს გზავნიან ყველა დიდი პოზიციებისაკენ გაუნჯულინსა, ჩანჩუნსა და გირინისაკენ. გაძვირდა საზრდოს ზიდვა წინა ჯარებისთვის. ლინევიჩს ყაზახების იმედი ჰქონდა, ცნობებს შემიკრებენო, მაგრამ მათ ვერ მოიყვანეს სისრულეში თავიანთი განზრახვა.

ტოკიო, 9 ივნისი. თუმცა იუწყებიან, ლინევიჩმა მიატოვა პირველი დამცველი ადგილიო, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ჩანტუნ-გირინის გზას მიატოვებს.—იაპონიის გოსპიტლებში 40 ათასი ავათმყოფია.—იაპონიის სამხედრო მინისტრმა ინსტრუქცია გამოსცა მანჯურიის ჯარებისთვის, საცა ის ამბობს, ჯერ არაა უზრუნველ-ყოფილი ზავის ჩამოგდება და იაპონიის მეომართ ახლა სხვიმინდელზე უფრო სინდისიერათ უნდა შეასრულონ თავიანთი ვალიო.

მელბურნი. ავსტრიის პარლამენტი კრიზისი მოსალოდნელია.

მადრიდი, 10 ივნისი. კაბინეტში დღეს შეადგინეს. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნეს ჰერცოგი ალმადოვერი, სამხედრო მინისტრად —გენ. ვეიდერი.

ბერლინი, 10 ივნისი. ერთს პატარა გაზეთს, რომელიც გარკვეული გაგებული საფინანსო საკითხებში, გაუგია, რომ სხვადასხვა საბანკო ჯგუფთ, სხვათა შორის, ბრიუსელისა, ბელგიისა და საფრანგეთის საზოგადოებასა და ბერლინის რამდენიმე საბანკო ფირმას გადაუწყვეტიათ დაუყოვნებლივ მისცენ რუსეთის მთავრობას საჭირო ფული, როგორც რომ იგი საბოლოოთ გადასწყვეტს ზავის ჩამოგდებასო.—„კელნიშე-ცაიტუნგ"-ი ამბობს, გაზეთების ცნობის წინაამდეგ, რომ მთავრობა არ გაგზავნის ჯარებს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაშიო.

სტოკჰოლმი, 10 ივნისი. იუწყებიან, სამინისტრო სამსახურიდან გავიდაო.

კორსაკოვის პოსტი. სამხრეთ სახალინიდან მთავრობის ნებართვით დიდ ჯგუფებათ მიდიან იქ გაგზავნილები ალექსანდროვსკისა და ნიკოლაევსკის გზით. ისინი 600 ვერსტზე მეტს გადიან ფეხით; ზოგს თან პაწია ბავშვებიც მისდევენ. ისინი აიძულა ცხოვრების აუტანელმა პირობებმა.

ჟიტომირი. კოველსკის მაზრის სოფ. იურიევკაში, ბაზრობის დროს ებრაელების ცემა-ხოცვა მოხდა. არიან მოკლულნიც. ქუჩას აშკარა ძარცვა-გლეჯაც მოჰყვა. არეულობა დაწყებისთანავე ჩააქრეს.

რიბინსკი. რიბინსკის ბირჟის ვაჭრებმა აზრი გამოსთქვეს, საჭიროა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა დაუყოვნებლივო.

ლიბავა, 10 ივნისი. გუშინ საღამოს სატუსაღოში არეულობა მოახდინეს დამწყვდეულთ. ქუჩიდან მათ ხელს უწყობდნენ. პოლიციამ აღადგინა წესიერება. ოთხშაბათიდან დაწყებული გაფიცული მუშები ანგრევენ სარდაფებს. დღემდე 12 თავშესაფარია განადგურებული.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
10 ივნისი

ტოკიო, 9 ივნისი. იაპონიის განზრახვა აქვს აუშენოს ჩინეთს ფლოტი და შეასწავლოს ჩინელ აფიცერთა და მეზღვაურთ თანამედროვე სამხედრო ხელოვნება. გერმანიას ჩინეთიდან ციწტაუს გარდა გაჰყავს თავისი ჯარები. გერმანიის აზრით, მათ გაათავეს თავიანთი მისსია; ამას განსაკუთრებით იმისთვის შვრება გერმანია, რომ, იაპონიის გამარჯვების გამო, ბოლო მისცეს იმ მდგომარეობას, რასაც ჩინეთში სხვა და სხვა ერთა ჯარების ყოფნა ჰბადავს.

გუნჯულინი, 9 ივნისი. „დეილი-ტელეგრაფ"-ის ცნობა ტოკიოდან, ვითომც ლინევიჩის არმიას ყოველ მხრივ იაპონელები ერტყას, ტყუილია.—იაპონელები დგანან ჩვენის სამხრეთის ფრთის გასწვრივ, ჩვენ პირისპირ ვუცქერით მტერს და თვალს ვადევნებთ ყოველს მისს ნაბიჯს.

ნოგის მთავარი სადგომი, 9 ივნისი. მიშჩენკოს რაზმს ახლა-ხან მოეშველა კავკასიის კავალერიის დივიზიის ნაწილი. რაზმი ბეჯითად მოქმედებს. იაპონელებმა 4 ივნისს 2 კოლონა დარაზმეს მიშჩენკოს ბაზის წინაამდეგ, რათა წინაამდეგობა გაუწიონ რუსის კავალერიის რეიდს. ამ ოპერაციის დროს, საეჭვოა, რომ გერმანიის პრინცი არ დაეტყვევებინათ. შრაპნელი სამხედრო ატტაშეთა შორის გასქდა, მოჰკლა 2 ცხენი და მსუბუქად დასჭრა ერთი ატტაშე.

თეირანი, 9 ივნისი. ქალების ბრბომ გაახერა შაჰის მემკვიდრის კარეტა და მოითხოვა სანოვაგეზე ფასის დაწევა. მემკვიდრემ სიტყვა მისცა, ზომებს მივიღებო.

მეშედი, 9 ივნისი. ასხაბადიდან 20 ყაზახის მოსვლამ დაამშვიდა მცხოვრებლები, რომელნიც ახალ არეულობებს ელოდნენ.

პეტერბურგი, 9 ივნისი. ოფიციალური. რადგანაც გაზეთებში აუარებელი ტენდენციოზური დეპეშები იბეჭდება ერევნის რაიონიდან, ზოგი ხელ-მოწერილი, ზოგი მოუწერელი, კავკასიის ნამესტნიკმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით, გუბერნატორებისა და გენერლებ შვედოვისა და ალიხანოვის ცნობებით, ამჟამად ხსენებულ რაიონში აღარაა სისტემატიური მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა და ცეცხლის წაკიდება, მხოლოდ სხვა და სხვა ადგილებში კანტი-კუნტად ხდება ამისთანა შემთხვევებიო. არეულობის უმთავრესი დამნაშავენი დაჭრილებია, დაშავებულთა და მშიერთ ფულით, წამლებით და საზრდოთი ეხმარებიან; მცხოვრებლები მშვიდდებიან და თავიანთ ადგილებზე ბრუნდებიან, ვაჭრობა იწყება, ქონებას ეძებენ და პატრონებს უბრუნებენ, ჯარები ჯერ არ გამოგვყავს, რადგანაც სოფლებში ისევ შიში სუფევსო.

ერევანი. მოვიდა ახლად დანიშნული გენ.-გუბერნატორი პრინცი ნაპოლეონი. იმედი აქვთ ხალხის დამშვიდებისა.

კავკავი. ხმოსნებმა ამოირჩიეს კაცები მოსკოვში ქალაქების მოდგაწეთა რჩევაში მონაწილეობის მისაღებად.

პარიზი, 9 ივნისი. „ეკო დე პარი"-ს დეპეშით ატყობინებენ რომიდან, ვითომც იტალიის განზრახვა ჰქონდეს წინადადება მისცეს ევროპის კონგრესის მოწვევაზე, რათა, მაროკოს საკითხის გარდა, გაარჩიონ უცხო საერთაშორისო საკითხები, რომლების შესახებ დღემდეც არ მომხდარა შეთანხმება.

ტფილისი, 9 ივნისი. ნამესტნიკს წარუდგა დეპუტაცია კავკასიის მუსულმანებისა, რომელმაც განსაკუთრებულ წერილში განუმარტა თავისი შუამდგომლობანი. ნამესტნიკმა იმედი განაცხადა, სისრულეში მოიყვანოს შუამდგომლობათა მეტი წილი და სთხოვა წარმომადგენელთ, გავლენა იქონიონ, რომ სომხებს აღარ დაესხნენ და ჩამოაგდონ მშვიდობიანობა. დეპუტაციამ აღუთქვა დასამშვიდებელი ზომები იხმაროს, მადლობა გადაუხადა ნამესტნიკს მუსულმანთადმი ნდობისთვის, მზათ არიან უცხო მუსულმანები იმოქმედონ წესიერების აღდგენისთვისო,—უთხრა მან და სთხოვა, შეწერებულ იქნან სომხები და ნუ ჩაიდენენ ისეთ საქმეს, რაც იარაღის ხელში აღებას ითხოვსო.

მოსკოვი, 9 ივნისი. ივანოვო-ვოზნესენსკიდან მოსული პირები კატეგორიულად უარჰყოფენ გაზეთების ცნობებს იქ მომხდარ არეულობის შესახებ. სრულებით არ გამოუწვევიათ ჯარები დასამშვიდებლად, ყველაფერი მარტოკა პოლიციამ გააკეთაო.

პეტერბურგი, 9 ივნისი. სახაზინო და კერძო რკინის გზათა უფროსებმა და მმართველებმა გადასწყვიტეს, მიეცეს ორის კვირით შინ დათხოვნის ნება, ვისაც ორი წელი-კი უმსახურნია რკინის გზაზედ.

ოდესა. ბოქაულ ოდშევსკის მოკვლის განზრახვედ დუბინსკის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. შტიპელმანს, რომელსაც პოლიცმეისტრის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა, ჩამოხრჩობა უვადო კატორღით შეეცვალა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდ ბრძოლის მოლოდინში. რაც რუზველტმა ვერ მოახერხა, იმას ბრძოლა შესძლებს, რომელსაც დღე-დღეზე მოელიან. ფრანგულ „ტან"-ის კორესპონდენტი იწერება პეტერბურგიდან: მანჯურიიდან მეტად სერიოზული ამბები მოდის. მთავარ-შტაბის ერთმა პოლკოვნიკმა შემატყობინა, რომ დიდი ბრძოლა მზადდებაო. იაპონელები სცდილობენ საჩქაროდ გამოიყენონ თავიანთი სტრატეგიული უპირატესობანი და გზა მოუჭრან რუსის ჯარს. ზოგ წინა პოზიციებს უკვე შემოუარეს. შტაბში ცნობა მოგვივიდა, რომ კარგა დიდი ნაწილი მტრის ძალებისა ომოსაში მისულა და შესაძლებელია ვლადივასტოკი მოსჭრან.

„დეილი მეილ"-ს სწერენ სეულიდან: იაპონიის ჯარები სულ წინ-წინ მიდიან. ახლო მომავალში დიდი ბრძოლა მოხდება. კუროპატკინი უკიდურესს მდგომარეობაშია.

„რ. ვ."-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: „რაც ჰანიბალმა და ნაპოლეონმა ვერ შესძლო, იმას გენერალ ლინევიჩს ვერ მოვთხოვთ. მთავარ-სარდალმა უნდა უზრუნველჰყოს თავისი ფლანგები და ზურგი, სანამ იერიშით მივიდოდეს მტერზე; ამისათვის-კი, რადგან ზღვა მტრის ხელშია, ლინევიჩს უნდა ჰყავდეს ორჯელ მეტი ჯარი, ვიდრე მტერს ჰყავს, ე. ი. სულ უკანასკნელი ერთი მილიონი ჯარის კაცი და ოთხი ათასი ზარბაზანი. ამოდენა ჯარის მიყვანა შორეულ აღმოსავლეთში და გამოკვება რუსეთს სრულიად არ შეუძლია, თუნდაც ჩვენმა (რუსის) ინჟენრებმა ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგი გაიყვანონ. რუსის ჯარს შეუძლია იქონიოს გამარჯვების იმედი მხოლოდ იქ, სადაც აღარ არის სტრატეგიული გავლენა იაპონიის ზღვაზე ბატონობისა.

ამ სტრატეგიულ გავლენის საზღვრად ჩაითვლება მდინარე სუნგარის შესართავი. ხარბინი, კლიტე ამ შესართავისა, 680 ვერსტის მანძილზეა ყვითელ ზღვიდან და 730 ვერსტზე იაპონიის ზღვიდან და ამიტომ ადვილად შეიძლება გახდეს საგანი მარშალ ოიამას სამხედრო ოპერაციებისა: იაპონიის მთავარ სარდალი ხარბინშიაც რომ მივიდეს, სრულიად არ ექნება შიში, რომ გზას მოუჭრიან. თუ ასის წლის წინად ველინგტონი გამარჯვებით იბრძოდა ზღვიდან

500 ვერსტის მანძილზე, მით უფრო ადვილია ოიამასათვის ხარბინის დაჭერა—უკან ორი რკინის გზა ექნება. თუ იაპონელები ხარბინს დაიჭერენ, რუსის ჯარი იძულებული იქნება ხინგანის მთაგრეხილს უკან დაიხიოს; ხინგანის მთაგრეხილის ერთად ერთი ბუნებრივი სიმაგრეა ხარბინსა და ზაბაიკალიეს შუა. თუ გენერალი ლინევიჩი თავის დროზე დაიხევს უკან და მანჯურიის ჯარს შეინახავს, ხინგანი ყოველ შემთხვევაში ჩვენ (რუსების) ხელში დარჩება და ზაბაიკალიეს შიში არ უნდა გვექნეს. ასევე ეჭვს გარეშეა ისიც, რომ მარშალი ოიამა არაფრის გულისათვის არ გაიმეორებს კარლოს XII-ეს (უკრაინაში გალაშქრება), პეტრე დიდის (პრუტზე გალაშქრება) და ნაპოლეონ პირველის (მოსკოვში გალაშქრება) შეცდომებს და ხარბინის იქით არ წავა.

სტრატეგიული მდგომარეობა ომის ველზე ისეთია, რომ, თუ სამხედრო ოპერაციები კიდევ გაგრძელდა, დამასრულებელი ფაზისი რუს-ეთ-იაპონიის შეტაკებისა იქნება ბრძოლა ხარბინისათვის. ვლადივოსტოკმა დაჰკარგა თავისი წინანდელი სტრატეგიული მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც წყნარ ოკეანეს ფლოტი მოისპო. ვლადივოსტოკი იმდენად შორს არის ხარბინიდან (730 ვერსტი), რომ ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს გენერალ ლინევიჩს, მით უმეტეს, რომ თვითონ ვლადივოსტოკს ზღვიდან ემუქრებიან. და როგორც პორტ-არტურის დაცემამ გაანთავისუფლა გენ. ნოგის ჯარი მუკდენთან ოპერაციებისათვის, ისე როჟესტვენსკის ესკადრის დაღუპვა ანთავისუფლებს გენერალ ხასეგავას კორეელ ჯარს ხარბინთან ოპერაციისათვის. ეს ჯარი რომ ნინგუტაში გაჩნდება, ერთბაშად გადამწყვეტ გავლენას მოიპოვებს მთელ ბრძოლის მსვლელობაზე. ხასეგავა ჯარის ერთ ნაწილს ვლადივოსტოკისაკენ ჩამოიფარებს, გამაგრდება ნინგუტაში და საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებს რუსის ჯარის მარცხენა ფლანგს და ზურგს და ამით აიძულებს მას ხარბინი მიატოვოს. გენერალ ხასეგავას როლი ისეთივე იქნება, როგორიც ასე ყოჩაღად შეასრულა კუროკიმ ვაფანგოუდან დაწყებული ლიაოიანამდე. ქალაქ ომოსას დაპყრობა იაპონელებისა და ხუნხუზების მიერ (ომოსა შუა გზაზეა გირინიდან ნინგუტამდე) საშიში ნიშანია. მეორე უფრო საშიში ნიშანი არის ოიამას ჯარის წინ წამოწევა. ფრთხილი იაპონელ მოლტკეს ჯერ ისე არც ერთი ოპერაცია არ დაუწყია, რომ სავსებით დარწმუნებული არ ყოფილიყოს მის ასრულებაში.

ქალაქ ომოსას დაპყრობას დიდ მნიშვნელობას აწერს ფრანგული გაზ. „ტან“-იც, მხოლოდ გაზეთს უკვირს, როგორ მოახერხეს იაპონელებმა შეუმჩნევლად გაძრომა ამ ქალაქისაკენ ან როგორ მოხდა, რომ ტუმენზე დაბანაკებულმა რუსებმა ხელი არ შეუშალეს იაპონელებსაო. („ო. ხ.“).

რა გამოირკვა?

თავად-აზნაურთა წრევანდელი საგანგებო კრებები ბევრის მხრით არის საგულისხმიერო. უპირველესად ყოვლისა ეჭვს გარეშეა, რომ ინტელიგენციის ჯგუფის მოპირდაპირე თავად-აზნაურთა მოქმედებას შეთანხმებულობა დაეტყო; ეჭვს გარეშეა, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთ ორგანიზაცია აქვთ და მათ მოქმედებას ორგანიზაციის ხასიათი აქვს. კრებებზე გამოირკვა ისიც, თუ ვინ არიან ბელადნი ამ საისტორიო ორგანიზაციისა და რა ასულდგმულებს ორგანიზაციას. თავად-აზნაურთა მეორე კრებაზე მომხდარ ინციდენტმა—ქალების და ინტელიგენციის გაძევებამ—ნათლად დაგვანახვა, რომ სახელოვანი ორგანიზაცია მოკლებულია საზოგადოებრივ ინსტინქტს და უფრო თავის მკლავის იმედი აქვს, ვიდრე საზოგადოებრივ განვითარებისა; დავრწმუნდით აგრეთვე, რომ ორგანიზაციის წევრებს სამუდამოდ დავიწყებიათ წინაპართა რაინდული შეხედულება, რომლის ძალითაც უსაზღვრო სირცხვილად ითვლებოდა მანდილოსნის ხელის შეხება და ბურთივით გასროლა.

მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილია, და, სამწუხაროდ, ნაყოფი სწორედ იმ ღირსებისაა, როგორც მაგვარ ყვავილს შვენის. გორის თავად-აზნაურობა საკვირველის სიმამაცით შეეხო ბანკის შემოსავლიდან შემდგარ სამეურნეო თანხას და თავის დასაკმაყოფილებლად ბოლო მოუღო. ჯერ ითხოვეს სინდიკატისათვის სესხად 30,000 მანეთი, თუმცა 6 წლის წინად ერთის წლის ვადით წაღებული 12,000 მანეთი დღესაც არ დაუბრუნებიათ. ითხოვეს როგორ? უსარგებლოთ და უგარანტიოთ ათის წლის ვადით. მხოლოდ, როცა დაინახეს დამსწრე საზოგადოების განცვიფრება, აღუთქვეს სარგებელიც და გარანტიაც, რაიც პირველ ხანს გამოიხატებოდა ბრწყინვალე წოდების პატიოსან სიტყვაში. ნახევარმა საზოგადოებამ მაინც უარ ჰყო ეს წინადადება, და მეორე დღეს, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიაო ერთმა ბელადთაგანმა წამოაყენა კითხვა, თუ 20,000 მ. არა, იქნება 10,000 მ. მაინც ვასესხოთო. რა მოსაზრებით, რატომ მაინც და მაინც 10,000 მ. და არა 20,000 ან 15,000 ეს მხოლოდ ინიციატორის საიდუმლოებას შეადგენს. უყვარს კენჭი, და ყვავს კაკალი გააგდებინეს.

საზოგადოებას ეგონა, ამას გვაკმარებენ, და სრულებით არ მოელოდა, რომ გორის თავად-აზნაურობა კვლავ მოითხოვდა 20,000 მ. ქირ-ნახულ აზნაურთა დასახმარებლად. მხოლოდ ყველას ებადებოდა კითხვა, რად თხოულობენ მხოლოდ გორის მაზრის თავად-აზნაურნი, სხვები კი გაჩუმებულან; ზარალი ხომ ყველგან დაახლოებით ერთნაირი იყო? რით განსხვავდებიან გორის მაზრის თავად-აზნაურნი? და უნებლიეთ ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი იბადებოდა: განსხვავდებიან ორგანიზაციით. დიახ, აქაც იჩინა თავი ორგანიზაციამ, რომელიც საკვირველის მწყობრობით მოქმედებდა თავის ბელადების ბრძანებლობით. მკითხველო, მიულოცეთ გამარჯვება საუცხოვო ბელადების ორგანიზაციას!

წრევანდელ კრებებზე დახასიათდა აგრეთვე თავად-აზნაურთა უმრავლესობა. მოულოდნელი არა მომხდარა, მაგრამ დღემდისინ თავად-აზნაურობას მკაფიოდ არ გამოურკვევია თავისი პოზიცია. და დღეს გამოირკვა, რომ იგი ებღაუჭება დაძველებულ და ყველასაგან აბუჩად აგდებულ წეს-წყობილებას; იმ დროს, როდესაც ცხოველი ნაწილი სახელმწიფოს უმრავლესობისა ითხოულობს კრების, სიტყვის და პრესსის თავისუფლებას, თავად-აზნაურთა უმრავლესობა თხოულობს, რომ კრებიდან გავიდნენ არამც თუ გარეშე პირნი, არამედ პრესსის წარმომადგენლებიც-კი. ერთი ტიპიური მსხვილი ცენზის მქონე თავადი გულუბრყვილოდაც კი ჰკითხულობს, რა დამოკიდებულება აქვთ ჟურნალისტებს ჩვენს შინაურ საქმეებთანაო; და როდესაც გაკადნიერდნენ პასუხის მისაცემად, ორგანიზაციამ შეჰყვირა: „ჰკა, მაგათო“! და იერიში მიიტანა შინაურ მტრებზე.

თავად-აზნაურობამ ეგეც არ იკმარა. მან ჩაიდინა ის, რაც ჩვენთვისაც-კი მოულოდნელი იყო, რაც ისტორიულ ფაქტად გადიქცევა და რაც დიდხანს არ დაავიწყდება ჩვენს შეგნებულ საზოგადოებას. პირველ კრებაზე, სხვათა შორის, გადაწყვეტილი იყო, გამოეცხადებინათ უკმაყოფილებაც იმ ინციდენტის გამო, რომელ ადამიანისათვის მოხდა 31 მაისს. წინადადება მიიღო მთელმა საზოგადოებამ უკლებლივ. მხოლოდ, როდესაც მესამე კრებაზე რამდენმამე პირმა მოითხოვა ამ გადაწყვეტილების ოქმში შეტანა, ჩვეულებრივმა ზურგ-მოხრილმა პოლიტიკამ იჩინა თავი და ბრწყინვალე თავად-აზნაურობამ უარჰყო თვისი დადგენილება, სრული მორჩილება გამოაცხადა და ამით დააკანონა მათრახი. მჯერა, რომ თავად-აზნაურობის უმრავლესობას საკმარისად არ ესმის, თუ რა დანაშაული ჩაიდინა ქართველ ხალხის წინაშე, როგორ შელახა ადამიანის პიროვნება, თორემ აგრე არ მოიქცეოდა. მთელს საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, არ დარჩენილა არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც თავისი ზიზღი გულახდილად, გაბედულად და მოურიდებლად არ გამოეცხადებინოს მღვდლების გალახვის გამო და ამ დროს ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელსაც ახლაც ძლიერ სურს შეირჩინოს ნაციონალური დროშა ხელში, შიშის ქვეშ თრთის, რად გამიტაცა წუთმა და რად მიმაღებინა ხსენებული წინადადებაო. ძველი თხოვნა-მუდარის პოლიტიკა, თავის თავის მოტყუილება—მაშ ეს სურს ჩვენს ბრწყინვალე თავად-აზნაურობას? ეს როდის? როცა მთელი საქართველო გაძლიერებულის წესების ქვეშ იმყოფება? თუ ახლაც თავად-აზნაურობა სიმართლის სიტყვის თქმის მაგიერ გულზე ხელებ დაკრეფილი, წელში მოხრილი მიდის და მორჩილებას უცხადებს ვისაც ჯერ არს, რა აქვს ამ თავად-აზნაურობას საერთო ქართველ ხალხთან?

მაშ რა გამოარკვია წრევანდელმა თავად-აზნაურთა კრებებმა? პირველად ცხად ჰყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა ორგანიზაციის ფიზიონომია და მეორედ, ნათლად დაგვანახვა, რომ თავად-აზნაურობის უმრავლესობას ხალხის ეროვნულ მისწრაფებებთან საერთო არაფერი აქვს. ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

ვ. მ.

სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი

წერილი მეხუთე

ასრულებს თანამედროვე სკოლა და მასთან ერთად მისი აინაგი სათავად-აზნაურო სკოლა თავის პირდაპირ დანიშნულებას? პირველი და უმთავრესი მიზანი საშუალო სკოლისა შემდეგია: მისცეს მოზარდ თაობას მინიმუმი ყოველგვარ საჭირო ცოდნისა, იმის ასაკს შეფერებული, რომ შეეძლოს ცნობიერად შეხედოს ადამიანთა და ბუნების ცხოვრებას.

ამ საზომით თუ განვიხილავთ სათავად-აზნაურო სკოლის პროგრამებს, დავინახავთ, რომ მასალა ბევრია, მაგრამ ეს მასალა გამოუსადეგარია ადამიანის და ბუნების ცხოვრების გასაცნობად. სკოლაში მოსწავლე ბავშვმა იქნება მშვენიერად იცის რომელ რუსულ ძირითად სიტყვებში იწერება ასო ѣ, რამდენი კანკლედობაა ქართულ ენაში, რამდენი შესანიშნავი ქალაქია ვოლოგდის გუბერნიაში, იცის, რომ ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა იმ ღამეს, როცა გიჟმა გეროსტრატმა გადასწვა დიანას ტაძარი და სრულიად არ იცის ის, თუ როგორი აგებულება აქვს ადამიანს, რას წარმოადგენს ლაჟვარდი ცა და მასზედ ბრწყინვალე მზე, კაშკაშა მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავები. არ იცის, რათ არის ერთი უზომოდ მდიდარი და მეორე ღარიბი; არ იცის, რა ხდება მის სულსა და გულში; არ იცის ბევრი რამ, რასაც ყოველ დღე ხვდება, რაც თხოულობს მისგან გადაწყვეტილ პასუხს, რაც ხდის თვალ ხილულად, არჩევს მას იმ სიბნელით მოცულებისაგან, რომელნიც ხშირად პირუტყვ ცხოველს ედრებიან. დაშორება ცხოვრება-ბუნებისაგან—აი ის დიდი ნაკლი, რომელიც უკარგავს ჩვენ სკოლას დიდ მნიშვნელობას. ჩვენი სკოლა თითქო უდაბნოში დგას, სადაც ცხოვრების ოხვრა-კვნესა არ ისმის, სადაც ბუნება მარტივი და ერთფეროვანია. სადაც ასწავლიან მარტო სწავლის პროცესისთვის. სწორედ რომ ჩვენი სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც ბავშვებს თუთიყუშივით ამეორებინებენ უცნაურ ამბებს; ეს ამბები არაფერს ეუბნებიან არც გულს და არც ჭკუას. განა უცნაური ამბავი არ არის 10 წლის ბავშვისთვის შემდეგი ცოდნა: „წინადადება არის სიტყვით გამოთქმული ან დაწერილი აზრი“, ან: „დამატება არის სიტყვა, რომელიც განმარტავს ზმნას“. რომელი მოვლენა ადამიანის ან ბუნების ცხოვრებისა იხსნება ამგვარ ცოდნით? განა მას ერთი შედეგი არ მოსდევს: დაუხშოს ბავშვს სრულიად გონება და დაუკარგოს სწავლის ყოველი ინტერესი? მაჩვენეთ ცხოვრების ნიშან წყალი შემდეგ ცოდნაში: „ოდა არის ლირიკული ნაწარმოები, რომელშიაც გამოხატულია აღფრთოვანებული გრძნობა პოეტისა“. ვერ მაჩვენებთ და მაინც ჩვენ ბავშვებს ვაკარგვინებთ წელიწადებს, რომ ეს სიბრძნე გაუთქვიფოთ თავში. სამწუხარო ის არის, რომ თვით მასწავლებელსაც არა სწამს სინამდვილე იმ ცოდნისა, რომელსაც გადასცემს მოსწავლეს, გრძნობს, რომ აწყუებს ბავშვებს. წარმოიდგინეთ ნაყოფიერება ამგვარ სწავლისა. განა საკვირველია, რომ ჩვენ სკოლაში არავითარ სწავლის ინტერესი არ არის და სწავლა გადაიქცა ტანჯვა-წვალებად მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვისაც.

რამ შეჰქმნა ის უფსკრული, რომელიც სუფევს მოსწავლეებს და მასწავლებელთა შორის. რამ გაჰხადა ერთი მეორის მტერი, თუ არ იმან, რომ მასწავლებელი აწოდებს ცნობის მოყვარე ბავშვის გონებას პურის მაგივრად ქვას. რამ შეჰქმნა ცოდნის საზომავი ნიშნები, ეგზამენები, ათასნაირი სასჯელი, თუ არა იმან, რომ მასწავლებელი იძულებულია როგორმე მიაღებინოს მოსწავლეს მწარე წამალი, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მშიერს. ბავშვი მშიერია ცნობის მოყვარეობით, ჩვენ კი ისეთ წამალს ვაძლევთ, რომელიც შიმშილს არ უკლავს.

ცხადია, ჩვენი სკოლის პროგრამებს ძირითადი შეცვლა სჭირია. შეცვლა უნდა მოხდეს იმ აზრით, რომ სკოლა დაუახლოვდეს ცხოვრებას და მის ჭირ-ვარამს ემსახუროს, ძირითადი ცვლილება დროს მოითხოვს. სკოლამ კი უნდა განაგრძოს თავისი მოქმედება. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ბავშვები აღარ კმაყოფილდებიან აიტანონ ის ტანჯვა, რომელიც წლიდან-წლამდე სუფევდა სკოლაში. რა ვქნათ? დროებით, სანამ ძირითადი ცვლილება მოხდება სკოლაში, უნდა მივიღოთ პალლიატივები, რომელნიც შესამჩნევად შეუმსუბუქებენ მოსწავლეთ ტანჯვას და მოამზადებენ ნიადაგს ახალ სკოლისათვის.

საჭიროა ამიტომ ეხლანდელ პროგრამებიდან გამოვტოვოთ ის უმნიშვნელო ბარგი, რომელიც გონებას კი არ ანვითარებს, არამედ ამძიმებს მას და მათ მაგივრად შევიტანოთ ზოგიერთი საგანი, რომელთაც კავშირი აქვთ ცხოვრებასთან, ან ხელს უწყობენ გონების საზოგადო განვითარებას.

გაზეთის წერილში შეუძლებელია დაწვრილებით ჩამოვთვალოთ უმნიშვნელო ბარგი, ამიტომ ყურადღებას მივაქცევთ ზოგიერთ მეტ ვითომდა ცოდნას, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოვტოვოთ. ამგვარი ცოდნა გახლავს: აუარებელი ტექსტები სამღვთო სჯულში, უმნიშვნელო ისტორია ომებისა და ხელმწიფეებისა ისტორიაში, მეხსიერების დამამძიმებელი სახელები აუარებელ მთებისა, მდინარეებისა, ქალაქებისა გეოგრაფიაში, ცრუ გრამატიკა ქართულ და რუსულ ენებისა, სიტყვიერების თეორია, რომელიც წარმოადგენს დაძველებულ ნაშთს საშუალო საუკუნოების სხოლასტიკისას, ძველის ძველი ისტორია ლიტერატურისა, როგორც ქართულ ენისა, ისე რუსულისა და სხვ. ამგვარი შემოკლება გაანთავისუფლებს საკმაო დროს, რომ შევიტანოთ სკოლის პროგრამაში ელემენტარული ცნობები პოლიტიკურ ეკონომიისა, კულტურის ისტორიისა, კანონმდებლობისა, ფსიხოლოგიისა და ფილოსოფიიდან და მრავალ ღარგოვან ბუნების მეტყველებიდან.

ეს გაფართოვება პროგრამისა მაინც არა კმარა. მოსწავლე, როდესაც იწყებს ცნობიერად ცხოვრებას, აღარ კმაყოფილდება ხშირად იმ მინიმუმ ცოდნით, რომელსაც სკოლა აძლევს; ის ეძებს სკოლის გარეშე დააკმაყოფილოს გაღვიძებულ ცოდნის წადილი. რასაკვირველი, ამგვარი მოსწავლე სკოლას შორდება, კავშირს ჰკარგავს მასთან და ხშირად გულს იცრუებს მასზედ. ეს არა სასურველი მოვლენა უნდა აიცდინოს სკოლამ, თუ სურს, რომ იყოს ნამდვილი ხელმძღვანელი მოსწავლეებისა. აცდენა ამ არა სასურველ მოვლენისა შეიძლება დროებით ფაკულტატიურ საგნების შემოღებით. მგონი, უფრო უკეთესია, რომ მოსწავლემ თვით სკოლაში მოიკლას ცოდნის სურვილი, ვიდრე გარეშე, სადაც, ვინ იცის, რა გზით და როგორ დაიკმაყოფილებს სურვილს.

შ. ჩიტაძე.

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას

გარდაიცვალა ალ. წულუკიძე, მუშა ხალხის ერთი მეგობართაგანი, ერთი მებრძოლთაგანი...

ა. წულუკიძე იყო სხვა პარტიის წევრი, იმ პარტიის კაცი, რომელიც მეტად ხშირად ისეთ მეუფერებელ საშუალებებს ხმარობს ჩვენს წინააღმდეგ,—და როდესაც კალამს ვიღებდი ხელში რამდენისამე სტრიქონის დასაწერად განსვენებულის შესახებ, მე ცოტათი მეძნელებოდა ეს, მეძნელებოდა იმ გამწვავებულ ურთიერთობის გამო, რომელიც დამყარებულია დღეს ჩვენსა და მესამედასელთა შორის...

სიმართლის გაგრძება არავის უნდა; რაც უნდა გულ-წრფელი აზრი წარმოსთქვა, რადაც ბოროტ-განზრახვით უნდა ახსნან... მეძნელე-

ფელეტონი

პატარა ამბები

მესამე ცდა.—მილიცია.—თ.-აზნაურთა კრება.—უფლების ნასახსაც გვართმევენ.—სად არის სამართალი, ხმოსნებო?

ეს მესამედ მინდა ვილაპარაკო გორის მაზრის „კეთილშობილთა“ რაზმის შესახებ...

ორმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და ვერა ვსთქვი, რაც სათქმელი მქონდა. რაზმი ძლიერია, ბევრი ქომაგი ჰყავს და მის შესახებ ლაპარაკი ადვილი აღარ არის. რაზმი მცველობას და დარაჯობას ჰკისრულობს და, გასაკვირველი არ არის, რომ მასაც დარაჯობენ და იცავენ ისინი, ვისთვისაც რაზმის არსებობა ხელსაყრელია. ბერძნული ანდაზაა, ხელი ხელს ჰბანსო. რაზმს მოწყალე თვალით უყურებენ, დახმარებას უწევენ, აჯილდოვებენ; კარგად იცის ეს რაზმმა და სამაგიეროს უხდის თავის კეთილმყოფელთ, ქუდზე წელს იკიდებს და ხმამაღლა უვირის: Ррады стараться!. მაგრამ უსაცრავად: რაზმი „პატრიოტია“ და ქართულად უყვარს ლაპარაკი. როგორც ამბობენ, რაზმის საბრძანებლოში მიწერ-მოწერა, რაპორტების შედგენა და კამანდობა ქართულადაა; „შეხტენი“, „ჩამოხტენი“, „ფეხ-ხი წინ“, „მააა-რჯვნით“, „დააა-ჰკა“, „წაააა-რთვი“ და სხვა და სხვა ასეთი ბრძანება და განკარგულება სულ ქართულად გაისმის თურმე გორის მილიციის ბანაკში.

„კეთილშობილთა“ რაზმი მამულიშვილობს, თავის დროშაზედაც-კი ქართულად აქვს წარწერა. მაგრამ მამულიშვილობაც არის და მამულიშვილობაც; მამულიშვილობა სხვადასხვანაირია. მა-

ლობა, როგორც მეტი სიმდიდრის მოპოვება, როგორც ბაზრის გაფართოვება, როგორც სხვა ერის დაპყრობა და დამონება. ჩვენს მილიციას კიდევ ისე ესმის მამულიშვილობა, რომ მათ მკვიდრებურად შერჩეს ბატონობა, რომ მიწა ისევ მათ ხელში იყოს და გლეხებს ისიც ეყოფათ, რომ მუშაობის უფლება ეძლევათ და შეეძლებათ იმუშაონ მემამულეთა მიწაზე, იმ პირობით-კი, რომ მოსავლის ერთი წილი გლეხის იყოს და ორი წილი თავადის და აზნაურის. მილიცია დარწმუნებულია, რომ თუ ასეთი წესი არ იქნა დაცული ჩვენში, საქართველო დაიღუპება, თათრები და სომხები შემოგვესევიან და ერთიან აგვიკლებენო...

ერთის სიტყვით, მილიცია, როგორც „მოსკოვის უწყებანი“ და „გრაჟდანინი“, უფროს-უმცროსობის მომხრეა და ამასთან უნდა, რომ უფროსი თავად-აზნაურობა იყოს და უმცროსი გლეხობა, ე. ი. მარტივად რომ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, თავად-აზნაურთა მილიცია ფეოდალურ-ბატონყმურ წესწყობილების მომხრეა. მას უნდა საქართველო ბატონყმური და ამის გამო იგი წინააღუდგა და ებრძვის გლეხების მოძრაობას განთავისუფლებისათვის, ერთის სოფლიდან მეორეში გადადის და შიშის ზარით და ძალით უნდა დაიცვას არსებული წესწყობილება. „ძირს თავისუფლება,—გაუმარჯოს მონობასო“. „ძირს ერთობა,—გაუმარჯოს ბატონყმობასაო“. გაიძახის მილიცია; ესაა მისი დევიზი და ამ დევიზის ქვეშ უნდა შეაერთოს მთელი საქართველო... ჯერ არავინ შეერთებია, გარდა ჯიბე-ცარიელ აზნაურობისა, მაგრამ მილიციას მაინც დიდი იმედი აქვს გამარჯვებისა და წინდაწინვე დღესასწაულობს გამარჯვებას და ლხინსა და ქეიფ-

დრო ხომ ბევრი აქვს!). ძველის ძველი ამბავია, რომ კეთილშობილთ ისე არაფერი ეხარჯებათ, როგორც ქეიფი. ჯერ კიდევ ხეტარ ხსენებულ ლუარსაბ თათქარიძეს მთელ დედამიწაზედ შიგედ კაცად კარგი მოქეიფე მიაჩნდა და ახლანდელ თავად-აზნაურობას, ხამეტურ ახალგაზრდობას, ხომ სამი და ოთხი კურსი აქვს გათავებული ქეიფის უნივერსიტეტში. მილიციის დროშაზე ასე ეწერა თურმე: „სჯობს სიცოცხლესა ხამსა სიკვდილი სახელოვანი“. და უტყუარად ასრულებს ამ წესს: ღვინოში იკლავს სახელოვანად თავს, რომ ამით თავი დააღწიოს ხამსა სიცოცხლეს...

* *

სოფელში საკმარისად გაითქვა სახელი თავად-აზნაურთა მილიციამ. ახლა კიდევ ქალაქში ჩამოვიდა, რომ დარაჯობა გაუწიოს თავად-აზნაურთა კრებას და თავისებური „მილიციური“ ელფერი მისცეს ამ კრების დადგენილებას. ჩვენი ბრწყინვალე წოდება მუდამ ბრწყინავდა, ბრწყინავდა, რასაკვირველია, არა ღირსებებით, მაგრამ ხამეტნავად ბრწყინავს ამ წოდების უკანასკნელი კრება.

სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ჰყავს თავისი მემარცხენენი და მემარჯვენენი; პირველნი შეადგენენ ლიბერალებს და დემოკრატიულ ნაწილს, მეორენი—რეაქციონერების, კონსერვატორების, ფეოდალების პარტიას; პირველების შემწეობით და მეცადინეობით მიღებულ იქნა წარსულ კრებაზე ავტონომია, მაგრამ ესენი სულ მცირე ნაწილს შეადგენენ და როდესაც მთელი თავად-აზნაურობა იყრის თავს, განსაკუთრებით როდესაც მილიციონერებიც იქვე არიან, ამ ნაწილს ძალა

ძალმომრეობის კავშირი.

ახლანდელ კრების პირველ სხდომაზე ჯერ კიდევ არ ჩამორეკილიყვნენ სოფლებიდან თავად-აზნაურები, ჯერ კიდევ არ გაეშაგრებინათ ზურგი კრებისათვის მილიციას, და გამარჯვებაც ლიბერალ-დემოკრატებს ერგოთ. ბ. გ. რცხილაძემ წინადადება მისცა კრებას: 31 მაისს გალახულ და შეურაცხყოფილ სამღვდელოებას პატივი ვსცეთ ფეხზე წამოდგომით, პროტესტი გამოუცხადოთ იმათ, ვინც არიან მიზეზი „სამწუხარო მოვლენისა“ და დავხუროთ დღევანდელი სხდომაო. ასევე საგანს შეეხო თ. ა. არგუთინსკი-დოლგორუკოვი. კრება სრულის თანხმობით და ტაშის ცემით მიეგება ორივე ორატორის სიტყვებს.

მაგრამ ეს გამარჯვება გამოდგა უცაბედი და მეორე დღეს თავად-აზნაურობამ საჯაროდ გამოაცხადა შეცდომად თავისი წინანდელი დღის დადგენილება. როდესაც ოქმი წაიკითხეს პირველი დღის სხდომისა, რადაცა სასწაულით (მილიციონერების ზედ გავლენით?) მოხდა ისე, რომ ოქმში აღარ აღმოჩნდა ის ადგილი, რომელიც შეეხებოდა მილიციის მოქმედებას 31 მაისს. ბ. დ. ჯორჯაძემ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და მოითხოვა სიმართლის აღდგენა, მაგრამ კრებამ ლაპარაკის ნება არ მისცა: რის ოქმი, რა პროტესტი, რაც სწერია, ის არისო. ასეთი ძალმომრეობით შეურაცხყოფილმა ჯორჯაძემ და მასმა ამხანაგებმა დააპირეს კრებიდან გამოსვლა. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო კრების თავმჯდომარე. მისცა ბ. ჯორჯაძეს სიტყვის ნება და როდესაც უკანასკნელმა განმარტა თავისი აზრი და ხელმეორედ მოითხოვა ოქმის შევსება, ასე-

ადგინა, პროტესტი და წერილი გამოეცხადოს მილიციასო, მაგრამ ეს ჩემი შეცდომაა. ოქმზე ისეთი სიტყვები იყო ნახმარი, რომ მათი ოქმში შეტანა უთუოდ შეუძლებელია. ამიტომაც ამ ოქმის შესახებაც ლაპარაკის ნებას არავის გაძლევთო.“

თავმჯდომარის აზრს მხარი დაუჭირეს მემარჯვენეებმა, დამნაშავეებად აღიარეს თავი და ბოდიში მოიხადეს ვისთანაც ჯერ არს. ამ საკითხს შეეხო, სხვათა შორის, თ. ი. გ. ამილახვარი, რომელმაც დაახლოვებით შემდეგი განაცხადა: „მე მოხუცებული ვარ, ბევრს საზოგადოებას, ბევრს კრებას დავსწრებივარ, მაგრამ აქამდისინა არა მინახავს რა. ქართველებს რამდენიმე კარგი თვისება გვქონდა: ეს იყო ხელმწიფის ერთგულება, ღვთის სიყვარული და უფროსებისადმი პატივისცემა. ყველა ეს ახლა დავკარგეთ. ჩვენი კრებები კრებებს აღარ ჰგავს. ჩვენ ვართ თავად-აზნაურნი, ჩვენა გვაქვს ჩვენი კერძო ინტერესები, ვიკრიბებით ჩვენს საქმეებზე მოსალაპარაკებლად, აქ კი წამოდგება ვინმე უცხო და იტყვის: მღვდლებს სცემეს, თავი უნდა გამოვიდოთ, მათ პატივსაცემად კრება უნდა დავხუროთო. სცემეს, რა ვუყოთ მერე!...“

თ. ამილახვარივე წინააღუდგა გარეშე პირების კრებაზე დასწრებას, ნამეტნურ საჭირო არაა ქალების და პრესის წარმომადგენლების დასწრებაო. „რა უნდათ აქ ქალებსო! ჩვენ პატივსა ვსცემთ ქალებს, მაგრამ იმათ თავისი ადგილი აქვთ... აქ ვხედავთ პრესის წარმომადგენლებსაც. რა უნდათ აქ? რატომ თავს არ დაგვანებებენ? ეგენი მხოლოდ საქმეს ამწვავებენო!“

თავად-აზნაურობა სრულიად დაეთანხმა თ.

ბოდა, მაგრამ უკუვაგდე ეს აზრი. განა გვამის, განსვენებულის მუშაკის წინაშე ადგილი უნდა ჰქონდეს პარტიულ შოვინიზმს? განა სიკვდილმა არ უნდა დაგვავიწყებინოს ურთიერთან ბრძოლა და დროებით მაინც არ გავიგონოთ, არ გავიგოთ ერთმანეთის აზრები?

მაგრამ არა, მე არ ვწერ ცოცხლებისათვის. ვწერ მხოლოდ განსვენებულის სახელის პატივსაცემლად, ვაფასებ მის მოღვაწეობას, მის ადამიანობას, კარგ—ამხანაგობას.

განსვენებული იყო მეტად გულწრფელი მუშაკი, შეურიგებელი მებრძოლი ეხლანდელ წესწყობილებასთან, მუშა ხალხის ინტერესების დამცველი. ღრმად სწამდა ხალხის გამარჯვება და ამის რწმენა ამაგრებდა მის დავადმყოფებულ გულს, აძლევდა ღონეს და სიცოცხლეს მის დაუძლურებულ სხეულს. უმოწყალო სენით იყო შეპყრობილი (ჭლექით) და უკანასკნელ წლებში ძალიან შეუძლოდ იყო, მაგრამ ხალხის გამოფხიზლება, ხალხის განვითარება და მისი ძლიერი ხმა ასულდგმულებდა განსვენებულს. მხოლოდ ხალხის სიცოცხლით სცოცხლობდა და დღითი-დღე ელოდა განთავისუფლების საათს...

ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა და უდროვოდ გამოსტაცა სამშობლო ქვეყანას ერთი ერთგულ მუშაკთაგანი.

კალამი

ახალი ამბავი

◆ 10 ივნისს ტფილისში მოხდა **კრება ქართველ ინტელიგენციისა.** კრება, სხვათა შორის, შეეხო იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომელმაც წელს თავი იჩინა ბაქოსა და ერევნის გუბერნიაში, შეატაკა ერთმანეთს ორი მეზობელი ხალხი და დღემდე სისხლი იღვრება. თათბირზე ის სურვილი გამოითქვა, რომ ქართველობამ იკისროს გადამტერებულ ხალხთა შერიგების ინიციატივა და მათთან ერთად შეიმუშაოს საერთო ნიადაგი კავკასიის ხალხთა კულტურულ წარმატებისა და განვითარების მოსაწესრიგებლად. დასასრულ კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, მოიწვიოს სომეხთა ინტელიგენცია და იმასთან ერთად მოილაპარაკოს ამ საგნის შესახებ.

◆ **ქართლ-კახეთის სამღვდელოების** კრების თავმჯდომარემ მ. ციცქიშვილმა 10 ივნისს წარუდგინა საქართველოს ეგზარხოსს და სასინოდო კანტორას კრების გადაწყვეტილებანი სასულიერო სასწავლებლების შესახებ, პეტიცია საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიურ უფლებათა აღდგენის შესახებ და ქართლ-კახეთისა, ერევნისა, ყარსისა, განჯისა და ბაქოს ბლაღოჩინების სხდომის ოქმი იმის შესახებ, რომ ისინი სამსახურს თავს ანებებენ.

◆ როგორც ვწერდით, მოქალაქეთა რწმუნებულების კრებამ ერთხმად დაადგინა მოქალაქეთა სახელით **თანაგრძნობა გამოუცხადოს** ქართლ-კახეთის სამღვდელოებას 31 მაისის ინციდენტის გამო. კრებას იმავე დღეს თათბირი ჰქონდა ერევნის ამბების შესახებ. რადგანაც მოქალაქეთა საზოგადოებას შეძლება არა აქვს დაზარალებულთა დასახმარებლათ, კრებამ დაადგინა, მოიწვიოს 80,000 სული ტფილისის მოქალაქე და სთხოვონ გამოიღოს ვისაც რამდენი შეუძლიან ერევნის გუბერნიაში დაზარალებულთა დასახმარებლად, განურჩევლად ეროვნებისა.

◆ **ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოებამ** თანაგრძნობა გამოუცხადა ქართლ-კახეთის სამღვდელოებას 31 მაისის ინციდენტის გამო.

◆ ვორონეჟიდან 9 ივნისს დეპეშით აცნობებენ „მშაკს“: „გთხოვთ მიიღოთ წარმოგზავნილი 320 **მან. დაზარალებულ სომხების** სასარგებლოდ და გამოუცხადოთ ჩვენი თანაგრძნობა ქართველ სამღვდელოებასაო“.

◆ როგორც „ტიფ. ლ.“-ს გაუგია, მომავალ თვის დამდეგ **საქართველოს ეგზარხოსი** პეტერბურგს გაემგზავრება.

◆ 9 ივნისს 2 საათზე კავკასიის ნამესტნიკის წინაშე წარსდგა **მაჰმადიანთა დეპუტაცია.** ნამესტნიკი თითქმის ერთ საათს ესაუბრა დეპუტაციას და მიიღო პეტიცია.

◆ მოსკოვიდან ტფილისში ჩამოვიდა და აქედან ერევნის გუბერნიაში წავიდეთ რუსულ გაზეთის „რუს. სლ.“-ს ვანსა კუთრებული **კორესპონდენტი ნემიროვიჩ-დანჩენკო.**

◆ გაზ. „ნ. ობოზ.“-ს სიტყვით, ვილაცებს **გაუტეხიათ მცხეთის სობოროს** კლიტე და ორის ყულაბისა და სანთლის ყუთიდან ამოუღიათ 76 მან. და 60 კაპ.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის **მაზრის უფროსს თ. ლ. გ. ჯანდიერს** ერევნის ვიცე-გუბერნატორად ჰნიშნავენ.

◆ როგორც ვწერდით, 9 ივნისს **გაიფიცნენ ფუნიკულერის მოსამსახურენი.** თხოულობენ: 1. დათხოვნილ იქმნას ფუნიკულერის უფროსი, რომელიც ერთხელ უკვე დაითხოვეს ტრამვაიდან; 2. დაუბრუნდეს სამსახური უმიზეზოდ დათხოვნილი ორს მოსამსახურეს; 3. ნება მიეცეთ დააარსონ საამხანაგო სასამართლო; 4. დაწესდეს 8 საათის სამუშაო დღე და 5. ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში, როცა ფუნიკულერის მიმოსვლა შეწყვეტილია, ეძლიოთ მოსამსახურეებს ნახევარი ჯამაგირი.

◆ **სეირნობა და ბაზარი,** რომელიც დანიშნული იყო „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოების სასარგებლოდ, დღეს 12 ივნისს, ბელვიუს“ ბაღში, გადაიდო მომავალ კვირისათვის (19 ივნისისთვის).

◆ 10 ივნისს უნდა მომხდარიყო კრება სექციისა **სახალხო თეატრის შესახებ მოსალაპარაკებლად.** კრება არ შესდგა, რადგან ცოტა ხალხი შეიკრიბა, და გადაიდო 15 ივნისის, ნაშუადღევის 5 საათისთვის.

◆ ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, ქალაქის თავის მოადგილემ სთხოვა გუბერნატორს გაენთავისუფლებინა 27 მაისს **დაპატიმრებული გაფიცული ყასაბი.** გუბერნატორმა უპასუხა, რომ საქმის გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა და არა მგონია სრულიად გაანთავისუფლონ, შეიძლება მხოლოდ შეუმსუბუქონ სასჯელიო.

◆ ნაფიც ვექილის თანაშემწეს ლ. ლ. ბახტაძეს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისში **ყოველდღიურ ქართულ გაზეთის** გამოცემის შესახებ. გაზეთს სახელად „ახალი დროება“ ერქმევა.

◆ ნამესტნიკმა ნება დართო ბ-6 ესაძეს ყოველ **კვირული გაზეთი „კავკაზსკი კრაი“** ყოველდღიურად გადააკეთოს. გაზეთს ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებაც ექნება.

◆ 15 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე შუტოვისა, გონიასი, გედანიშვილისა და რაუსენისა, რომელთაც ბრალდებათ, 1904 წ. 7 ნოემბრის ღამეს **მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გაფანტვა ქუჩებში.** („ტ. ლ.“).

◆ **ტფილისის ახალი გუბერნატორი** ბარონი რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგი დღემდის, რუსული გაზეთების სიტყვით, დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სასახლის გამგეილად იყო.

◆ **სამღვდელოების რწმუნებულთა კომისიამ** 9 ივნისს მოისმინა წერილი სემინარიის მასწავლებლის ილ. ფერაძისა სამედიატორო მოსამართლეთა არჩევის შესახებ და თავის მხრივ მედიატორებად აარჩია დეკ. შოშიაშვილი, მღ. ჩიქავაძე და ივ. რატიშვილი.

◆ დღეს, 12 ივნისს, დილის 11 საათზე, „ტიფ. ლის.“-ს სადგომში მოხდება კრება **ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა** ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობისა.

◆ ხორცის დუქნების კომისიის გადაწყვეტილებით, დღეიდან ქალაქის დუქნებში ხორცი გაიყიდება გირვ.ნქა 11 კაპ.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოებას წარსულ წლის 14 მარტიდან 1905 წლის 14 მაისამდე შემოსვლია ბილეთების გაყიდვით 509,592 მან. 7 კაპ. აბონიმენტების გაყიდვით 26,180 მან. 8 კაპ. წლიურ ბილეთებიდან 1000 მან. სულ 537,065 მან. 85 კაპ.

გარ. წიგწიგაძე, გიორგი ჭონიშვილი, ალექსანდრე გარსიაშვილი, ო. ფიცხელაური, ესტატე ფილიშვილი“.

◆ გაზ. „ნ. ობ.“-ს აცნობებენ გომბორიდან, რომ ს. ახკილაურში, მცხოვრები ხვთისავარ გაბუტელაშვილი ცხენით გადიოდა გომბორის წყალზე, მაგრამ ჩქარა წყალმა მოიტაცა და დაახრჩო. გვამი დამხრჩვალისა ველარ იპოვეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ექიმს პ. მ. დონდაროვს განცხადება წარუდგენია ქალის სასანიტრო-აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარისათვის. იგი უარს აცხადებს ქალაქის სასანიტარო კომისიაში მუშაობაზე, რომელიც საგუბერნიო კომისიას ექვემდებარება და უნაყოფოდ შრომობსო.

◆ ქუთაისის თეატრში 11 ივნისისათვის დანიშნული ქართული წარმოდგენა, ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების გამო, 14 ივნისისთვის გადაიდო.

◆ ამას წინად ქუთაისში მყოფმა სტუდენტებმა გადასწყვიტეს უსასყიდლოდ დახმარებოდნენ ქალაქის სასანიტარო კომისიას ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში. 3 ივნისს ისინი შეიკრიბნენ ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით და გაიგნეს, თუ რა მოვალეობა აწვებოდათ მათ კისერზე. სტუდენტებს შორის უნდა ამორჩეულიყო ქალაქის სასანიტარო კომისიის დამხმარედ 14 სასანიტარო მზრუნველი, 14 სანიტარი და აგრეთვე რამდენიმე კანდიდატი. რადგან ამ დღეს კრებას სტუდენტთა საკმაო რიცხვი არ დასწრებია, ამისათვის ითხოვეს, დრო მოგვეცით, რომ უფრო ბლომად შევიკრიბოთ და ამოვირჩიოთ ჩვენ შორის სასანიტარო მზრუნველები და სანიტარებიო. 6 ივნისს სტუდენტებს მესამედ ჰქონდათ კრება. მათ გაუგიათ, რომ საქალაქო კომისია საგუბერნიო კომისიას ექვემდებარება, და უარს აცხადებენ პირველს დადგენილებაზე. თავის მოხსენებაში ისინი სწერენ ქალაქის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარეს: „ჩვენ მხოლოდ იმ პირობით დავთანხმდით გვეშვა საქალაქო კომისიაში, თუ რომ ადმინისტრაციისაგან სრულიად დამოუკიდებელი ვიქნებოდით; ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობა ქალაქის სასანიტარო კომისიაში ხელს გვიშლის თავისუფლად ვიმუშაოთ ხოლერასთან საბრძოლველად; ადმინისტრაციასთან ერთად მუშაობა სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენს დადგენილებას შესახებ იმისა, რომ სტუდენტობა შეერთებოდა პიროგოვის კრების დადგენილებას; აქ ჩამოთვლილ მიზეზების გამო ქუთაისში მყოფი სტუდენტები იძულებულნი ვართ უარი განვაცხადოთ ქალაქის სასანიტარო კომისიაში მუშაობაზე, რომელიც ექვემდებარება გუბერნიის სასანიტარო—აღმასრულებელ კომისიას“.

◆ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით ქალაქის სასანიტარო კომისიაში დაინიშნენ მეხუთე კურსის სტუდენტი—ექიმები ბ-ნნი ლოსაბერიძე და ბოკერია, ექიმი კოტიკი-კი ქუთაისიდან გადაყვანილ იქმნა ფოთის ქალაქის სასანიტარო კომისიის განკარგულებაში.

◆ ეს ორი დღეა, მეწვანილეებში დაკეტილია ერთი საპოვაგის დუქანი. ამბობენ, ეს მედუქნე ვაჭრობდა მაშინ, როდესაც საერთო გაფიცვის გამო გარეშემო ყველა დუქანი დაკეტილი იყოო. ამის გამო დააჯარიმეს იგი და იმ დროს დააკეტინეს დუქანი, როდესაც ყველანი ვაჭრობენო.

ტფ. გუბ. თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება

11 ივნისი.

კრების დაწყებისას თავ. ა. რ. ვახვახიშვილმა განაცხადა: მე უკანონოდ მიმაჩნია გუშინდელი კენჭის ყრა და გადაწყვეტა იმ წინადადებისა, რომლის თანახმადაც საძეურხეთო თანხიდან გორის მაზრის დაზარალებულ თავად-აზნაურთ უნდა მიეცეთ სესხი. მაგრამ რაკი კრებამ უკვე გადასწყვიტა და საქმეს არა ეშველება-რა, ვთხოვ კრებას, დაავალოს სესხის გამნაწილებელ კომისიას, იხელმძღვანელოს იმ წესდებით, რომელიც 1903 წელს იქმნა დამტკიცებული და შეეხება საძეურხეთო თანხის დახარჯვის საქმესაო.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა 10 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერად იცნო და ითხოვა ოქმში მეტანილ იქმნეს წინადადება, რომ უგარანტიოდ კომისიამ ფული არავის მისცეს. ამას დაეთანხმნენ ექ. გაბაშვილი, გ. ვ. მაჩაბელი და სხვანი. ამ უკანასკნელმა ისიც დაუმატა, რომ ცნობები გუბერნიის თავად-აზნაურთა კომისიამ სამაზრო კომისიისაგან მიიღოს და ამ ცნობებს დაემყაროს, რადგან სამაზრო კომისიამ უფრო კარგად იცის მცხოვრებთა მდგომარეობაო. კრებამ მიიღო წინადადება თავ. ს. რ. ვახვახიშვილისა და დაადგინა, ფულის გამნაწილებელმა კომისიამ თვითონ შეიმუშაოს ინსტრუქცია.

შემდეგ კრებამ გაიცნო დეპუტატთა საკრებულოს პროექტი ხარჯთ-აღრიცხვისა. საზოგადო სასარგებლო თანხისა თავად-აზნაურობას ბანკის სარგებლიდან მიღებული აქვს 114,042 მან. აქედან, საკრებულოს აზრით, 76,846 მ. ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის შესანახად უნდა გადაიდოს. სტიპენდიებისთვის—26,000 მან.; წინამძღვრიანთ სკოლას—5000 მან., გორის საქალებო გიმნაზიას—1000 მან., თელავისა და ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლებს 2000 მან. და დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიის შესანახად 3000 მან. კრებამ გაიცნო სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე-კომიტეტის მოწერილობა. კომიტეტის ანგარიშით, წელს სკოლას შესანახად დასჭირდება 90,305 მან. 36 კაპ. ე. ი. 9045 მან. მეტი წარსულ წლისაზე. მეტს თხოულობს იმიტომ, რომ ჯამაგირი უნდა მიემატოს ზოგიერთ მასწავლებელს, სასკოლო ექიმს, აგრეთვე უნდა გაიხსნას მე-4 კლასის პარალელური განყოფილება და სხვა.

ექ. გაბაშვილი თანახმა იყო სკოლას მისცემოდა იმდენი, რამდენსაც კომიტეტი თხოულობს. მაგრამ ამასთან დაუმატა, რომ ვისესხოთ ფული სასტიპენდიო თანხიდან, ხოლო სტიპენდიებს მოვახმაროთ ის 20,000 მანეთი, უმაღლესად რომ არის ნაბოძები. ბ. ი. ყიფიანმა ითხოვა შემწეობა დრამატიულ საზოგადოებისთვის. განცხადების შემდეგ კრებამ წაიკითხა თხოვნები დრამატიულ საზოგადოებისა, ქართველ-ქალთა სახელოსნო სკოლის გამგესი, ტფილისის და თელავის წმ. ნინოს სასწავლებელთა შეუძლებელ მოსწავლეების დამხმარებელ საზოგადოებისა და სხვ. კრებას ეცნობა აგრეთვე, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში ახლად კურსდამთავრებულნი სტიპენდიებს თხოულობენო. გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალმა სთქვა: არ დაივიწყოთ, რომ გორის ქალების სასწავლებელი უკვე სრულ გიმნაზიად გადაკეთდა და დიდი დახმარება სჭირდებაო. ივ. რატიშვილმა სთქვა, კრებამ უნდა გამოარკვიოს, საზღვარ-გარედ გავგზავნოთ მოსწავლენი სწავლის გასაგრძელებლად, თუ ისევ რუსეთში. ყველას მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაშია რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები. ჩვენი ახალგაზრდობა მიდის იქ, ფული დიდი იხარჯება, მაგრამ ნაყოფი არაფერიაო.

ვამათი გამოიწვია უმაღლესად ნაბოძებმა 20,000 მან. ექ. გაბაშვილმა ურჩია კრებას უმაღლესად ნაბოძები ფული სტიპენდიებს მოახმარონ. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. გადაიდოს სტიპენდიებისთვის. 114,042 მან. კრებამ ასე გაანაწილა: 90,305 მან. 36 კაპ. მიეცემა ტფ. სათავად-აზნაურო სკოლას. თუ თავად-აზნაურობის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ 19 ივნისს არ მიიღო 9045 მან. მაშინ ამ ფულიდან, თანახმად პ. ყიფიანის შუამდგომლობისა, 4000 მან. მიეცემა დრამატიულ საზოგადოებას 6000 მან. გადაიდო სტიპენდიებისათვის, ამას მიემატება უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. და ამრიგად წელსაც 26,000 მან. გადაიდება სტიპენდიებისთვის. კრება ამასთან დაადგინა, რადგან რუსეთში უმაღლეს სასწავლებლების საქმე აწეწილია, სტიპენდიატები საზღვარ-გარედაც გაიგზავნონ. გორის ახალქალაქისა, თელავისა და ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლებს მიეცეთ 3000 მან. ხოლო, დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიას 3600 მან.

კრება გადაიდო დღეს, 12 ივნისს საღამოს 7 საათისათვის.

ბოლო არ უჩანს

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბოლო არ უჩანს ჩვენს სივაგლახეს, ჩვენს დაქვეითებას.

განა სხვაგან სადმე, თუ არ ჩვენში, შესაძლებელი იყო იმ ამბების გაგონება და ნახვა, რაიც თავად-აზნაურთა საგანგებო კრებებზე მოხდა 7 და 9 ივნისს?..

ეს „ამბები“ სრული და პირუთვნელი მოწმეა „ჩვენებურის ხალვათობისა“—აბა თვითონ განსაჯეთ.

თავად-აზნაურთა კრებაზე წელს, მიუხედავად წინა წლების მაგალითებისა, უცხოს არ უშვებდნენ და მათ შორის ქალებსაც.

მაგრამ ახალგაზრდობამ—სტუდენტობამ, ბევრის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, ნება აიღო კრებაზე დასწრებისა, ერთის პირობით, რომ „ჩუმად ყოფილიყვნენ და საქმეში არ გარეოდნენ“.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა მუნჯი არ იყო და რომ ყოფილიყო კიდეც მუნჯი, ზოგიერთ საგნებსა და საკითხებში თავის სიამოვნებას თუ უსიამოვნებას მუნჯურად მაინც გამოაცხადებდა—ეს ხომ ზოგადი კანონია ახალგაზრდობის ფიზიკისა და ფსიხიკისა.

თავად-აზნაურობას ეს კარგად უნდა სცოდნოდა და, თუ იცოდა, მაშინ ის არ უნდა ჩაედინა, რაც ჩაიდინა.

ამდახვარის წინადადებას და თუმცა ერთს დღეს, [illegible] მარცხად, შეუშვა კრებაზე გარეშე პირები და მათ შორის ქალებიც, მაგრამ მალე ძალით და ცემით გამორეკა ყველანი გარედ და მილიციონერებმა კინაღამ ხმლებიც არ იშიშვლეს მტრების მოსაგერებლად (ეს იქნება მათი პირველი ხელჩართული ბრძოლა!). ასე წარმოიდგინეთ, მილიციამ ქალებიც კი აღარ დაინდო. დახეთ, არც ქალების პატივისცემა შერჩენიათ დღეს აზნაურებს—ქართველებს! რატომ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ გარემოებას ჩვენი სამშობლოს მოყვარულნი ფილდაღები?!

გორის მაზრის თავად-აზნაურობამ, იმ მაზრისა, რომელმაც წარმოშობა სახელოვანი მილიცია, თხოვნით მიჰმართა კრებას: გლეხების მოძრაობამ დაგვაზარალა და ბანკის მოგებიდან 20 ათასი მანეთი გვასესხეთო. ასეთი წინადადება იუცხოვა თავ. ჯორჯაძემ, და თავის მხრივაც განაცხადა: თელავის მაზრის თავად-აზნაურთა მონდობილობით, მე ვთხოულობ 40 ათას მანეთსო. ამან გააცხარა მილიციის სულის ჩამდგმელი გ. გ. მაჩაბელი: „ვითომ და თელავის მაზრის თავად-აზნაურობის რწმუნებულის წინადადება დასაბუთებული არ არის. გორის მაზრისანი დაზარალებულნი ვართ, თელავის მაზრის აზნაურნი კი არა, და თუ ახლა ფულს თხოულობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეგვიშალონ. სირცხვილია, ბატონებო, სირცხვილიო“.

თელაველებმა შეურაცხყოფად მიიღეს ბ. მაჩაბლის სიტყვები და დაუყოვნებლივ [illegible] კრებიდან. კრებაც დაიხურა...

ასე მიმდინარეობს ჯერ-ჯერობით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებები. კრებების

ჯანეთა, რეაქციის და მილიციის ხელშია. როგორც სჩანს, ჩვენს თავად-აზნაურობაშიაც ბრძოლაა: ერთი მცირე ნაწილი უარ-ჰყოფს წოდებრიობას და ემხრობა საერთო დემოკრატიულს მოთხოვნილებებს, მეორე ნაწილს უმრავლესობას უნდა დაიცვას წოდებრიობა და საზოგადოდ ძველებური წეს-წყობილება, ამ წეს-წყობილების დასაცველად შექმნა ახალ მილიციაც...

* *

გეპქდავთ მკაზეთებო... მაგრამ უკედ რომ გთქვათ, გსწერთ, რადგან ხშირად ჩვენი დაწერილი არ იბეჭდება, ახა თუ იბეჭდება, მკითხველამდის ვეღარ მიდის.

ათასნაირი ძალმომრეობა ხდება, ჭკერი შეხუთულია, ყველგან უსამართლობაა, გაიძვერები დათარეშობენ, უმიზეზოდ გცემენ, მართალს ვერაფერს იტყვი, დანაშაულობას ჩაიდენს ვინმე, მეეცხოვოვას მოგაუგხენენ, დაგპირდებიან გამოძიებას, კომისიასაც კი დასნიშნავენ, შენც კი მიეკედებინებენ გამოძიებაში მონაწილეობას, მაგრამ მერე საცინლად აგიგდებენ, გამოძიებით კიდევ უფრო შეურაცხგყოფენ და დაგამცირებენ და ეპისტოლეებსაც კი შეგითხზავენ—მუდამ მონა იყავი, სხვის ხელ-ქვეითი, ახლაც ასე ხარ და იქნები მუდამო!..

განა ასეთ ხალხთან წერილთა და ბეჭდვით რასმე გააწყობ? ეს იმასა ჰგავს, რომ ძაღლს განსამართლება თვითონ მგლისა მიანდო. არა, საქმე, საქმეა საჭირო, ლაპარაკის დრო აღარ არის!

მგლის თავზე სახარებას ვინ ჰკითხულობდა? რამდენიც გინდათ ელაპარაკოთ გრინგმუტს და მეშჩერსკის, ისინი მაინც თავისას იმეორებენ (მილიცია ჰყავთ ძლიერი!) და მოუწოდებენ ღმერთს ლიბერალებისა და დემოკრატების გა-

თავად-აზნაურობის თავგამოდებული დამცველი გაზეთი—„მოსკოვის უწყებები“ იმის გამო, რომ მოსკოვის ხმოსნებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოწვევა სახალხო კრებისა: „როდემდის უნდა დასცინოდნენ მთავრობას, 18 თებერვლის მანიფესტს, რუსის ხალხის წმინდათა-წმინდას? როდემდის იქნება უყურადღებოდ დატოვებული გახრწნა და ცირკულიარები? როდემდის არ განთავისუფლდებით ლიბერალურ ბდღვირისაგან? ნუ თუ არავითარი წამალი არ არის ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ?.. საბრალო რუსეთო, უბედურო მოსკოვო! ნუ თუ შენ ხარ ეს, დამცველი თვითმპყრობელობისა და მეფის ერთგულობის ახლერძასა?.. გონს მოდი, გეშინოდეს ღმერთის! ან ნუ თუ არ არსებობს ღმერთი საბჭოს და ერობის ხმოსნებისათვის?“

საბრალო გრინგმუტო, უბედურო თავად-აზნაურობავ!.. როდემდის უნდა დასცინოდეთ სიმართლეს და ცხოვრებას? როდემდის უნდა სდევნიდეთ თავისუფლებას? როდემდის უნდა ვიტანოთ შებორკილი თქვენის ძალმომრეობისაგან? ნუ თუ არ არის თქვენთვის არავითარი სამართალი და პასუხის გება და გგონიათ, რომ არასოდეს არ იქნება? გონს მოდით, გეშინოდეთ ხალხის სამართლისა!

* *

სიტყვამ მოიტანა, თორემ განა რამე აზრი აქვს გრინგმუტსა და მის კომპანიასთან გამოდავებას? სიტყვით რამდენიც უნდათ, ილაპარაკონ, ჯანი გავარდნიათ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ საქმით გვახრჩობენ, სულს გვიხუთავენ, სისხლს გვწოვენ!

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, შინაურ საქმეებს არ შევეხები და მხოლოდ ამბავს მო-

ურმა გუბერნატორმა გამოსცა შემდეგი განკარგულება: „სასტიკად აკრძალულია წერილობით და სიტყვიერად გავრცელება მთავრობისაგან ნება დაურთველ კრებების რეზოლიუციებისა; დამნაშავე დატუსაღებულ იქნება სამ თვემდის ან დაჯარიმებული 500 მანეთამდისო“.

რუსეთში ძალიან ცოტაა ისეთი კანონი, რომელიც რამე უფლებას აძლევდეს ადამიანს. რუსეთში ბევრია კანონი სხვა და სხვა კრებების, შეერთებების, დაწყების დაწესების შესახებ, და, ვიმეორებ ძლიერ ცოტა რამე უფლების მომნიჭებელი კანონი: კანონს და ცირკულიარს ყველაფერი მიაქვს ჩვენგან და არაფერი კი არ მოაქვს, არაფერს კი არ გვაძლევს, ხოლო დღემდის მოწყალეობა მაინც გვქონდა, რომ სიტყვიერად რამე აზრის გავრცელებისათვის, რომელისამე დადგენილების ამხანაგებისა და ნაცნობებისთვის გადაცემისთვის არავის დავსჯიდნენ. ახლა ეს უფლების ნასახიც წაგვართვეს! ახლა ისიც არ შეგვიძლია, რომ ვისმე რამე ამბავი გადავსცეთ! ამისთვისაც სასჯელი დაგვიწესეს!

ესეც ფეხის წინ გადადგმაა? თავისუფლების გაფართოებაა?.. სიტყვის თავისუფლებას ვეძებდით და ამის მაგიერ ცენზორები მოგვიმატეს! გაუმაძღარი გრინგმუტი კი კიდევ ურესებს გვპირდება...

არა უშავს! მათ დაპირებასაც გავუძლებთ. გენერლებიც ხომ ბევრს რამე გვპირდებოდნენ, მაგრამ...

* *

საკვირველია ხშირად ტფილისის საბჭოს საქციელი: სამართალს ეძებს და თვითონ კი უსამართლობას სჩადის, ბიუროკრატიას ლანძღავს

„დაპირებულ რეფორმებს გვიგვიანებენ; უფრო სფერაში შევიწროვება და თვითნებობაა; მწერლობა შეხუთულია და არ შეიძლება თავისუფლად თავის აზრის გამოთქმა, საბჭოს კრებების ანგარიშის დაბეჭდვაც კი...“ ასე ლიბერალურად ლაპარაკობენ ტფილისის ხმოსნები და ამავე დროს საქმით სულ სხვანაირად მოქმედობენ.

აი, ერთი ამის მაგალითი: ამას წინად ქუჩების განათების უფროს ზედამხედველს დადაიანცს მოუსურვებია მუშათა ერთი უბნის მეთვალყურის სამსახურიდან გაძევება და გამგეობისთვის უცნობებია: მეთვალ-ყურე (გიორგი ჩიტაშვილი) გარყვნილი კაცია და სამსახურიდან დაითხოვეთო. გამგეობასაც შეუსრულებია დადაიანცის თხოვნა. ჩიტაშვილმა თავის სახელის აღდგენისათვის სასამართლოს მიმართა, რომელმაც გაამართლა იგი და გაამტყუნა დადაიანცი. მაშინ ჩიტაშვილი მივიდა გამგეობასთან, სრულიად უდანაშაულო ვარ და ადგილზე მიმიღეთო. გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია ჩიტაშვილის უსამართლოდ დასჯას და არც ადგილი მისცა, არც ჯამაგირი. ჩიტაშვილმა საბჭოს მიმართა, მაგრამ ამანაც უარი უთხრა.

ტფილისის ხმოსნებო, სად არის სამართალი?

* *

...დასრულდა გამოძიება 31 მაისს მომხდარ ინციდენტისა...

გამოძიების მოხსენება იმეორებს იმას, რაც უკვე იყო დაბეჭდილი 2 ივნისს გაზეთ „კავკაზში...“

სიტყვა.

თავად-აზნაურობა კი ასე არ მოიქცა, განსაკუთრებით ერთი ჯგუფი, რომელთა შორის „ჩვენის აზრით, ბევრნი უკანონოდ იყვნენ კრებაზე. სწორედ ამ უკანონო, ესე იგი „უცენზო“ ჯგუფმა უკანონო ღონე იღონა—ახალგაზდობა ძალმომრეობით განდევნა კრებიდან...

მერე რა? რა სარგებლობა ნახა თავად-აზნაურობამ ამით? პირიქით, დიდი ზნეობრივი ზარალი იგემა: გამწვევება და განხეთქილება „მამებსა და შვილებს შორის“!.

განა ისე კი ცოტა გაუგებრობა და განხეთქილებაა ჩვენ შორის, რომ ხელოვნურის გამწვავებით სულ ერთიანად ჩავანგრიოთ ის სუსტი ხიდიც კი, რომელიც ადამიანურ ურთიერთობას მაინც არა სპობს ჩვენში!..

ახალგაზდობას და განსაკუთრებით სტუდენტობას სრული ნება აქვს მოითხოვოს თავისი ხვედრი უფლება—ისმენდეს და ხედავდეს თუ რა ხდება მის ქვეყანაში, რადგან ჩვენის გაფუჭებულს თუ გაკეთებულ საქმეს მხოლოდ ისინი იუფლებენ!..

მეორე ამბავი უფრო სავალალოა.

გუშინ-წინდელ კრებაზე, მას შემდეგ, რაც წინა დღით უარყოფილი თხოვნა—30.000 მან. სესხად გაცემა უგარანტიოთ გორის სინდიკატისათვის,—ხელმეორედ დაიდგა კენჭის საყრელად (ეხლა კი 10.000 მან. და გარანტიით) და ხმის უმეტესობით დაკმაყოფილებულ იქმნა, ბაასი ჩამოვარდა სამეურნეო თანხის განაწილებაზე.

წაკითხულ იქმნა ერთი უცნაური თხოვნა, ათიოდ თავად-აზნაურის მიერ ხელ-მოწერილი. ითხოვდნენ 20,000 მან., რომელსაც „პირველსავე შემთხვევაში დავაბრუნებთო“. კრების უმრავლესობამ თავისი კანონიერი გაოცება გამოაცხადა ასეთის უმაგალითო და დაუსაბუთებელ თხოვნის გამო.

ამ დროს წამოდგა მთხოვნელ ჯგუფის „ლიდერი“ თავ. გ. მაჩაბელი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სესხის მოწინააღმდეგეთ. ეს საკმარისი იყო, რომ მოთმინების ფიალა ავსილიყო. წამოდგა თელავის მაზრის მარშალი, თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი და კრებას გამოუცხადა—ჩვენ შეურაცხყოფილად ვგრძნობთ ჩვენს თავს და ნურას უკაცრავად, რომ ასეთ უზრდელ კრებაში მონაწილეობას არ მივიღებთო და კრებიდანაც გავიდა. მას გაჰყვნენ კახელები და თავად-აზნაურთა უმრავლესობა. დარჩა მხოლოდ გორის მაზრის „მებრძოლი ჯგუფი“...

განა შესაძლებელია ასეთ პირობებში დინჯი და დაფიქრებული სჯა-ბაასი? ზრდილობიანი, წინდახედული და თავდაჭერილი ლაპარაკი ხომ საანბანო ეთიკაა კერძო ცხოვრებაში, არა თუ საზოგადო და ისიც კრებებზე?..

სირცხვილია სხვა არა იყოს რა; ყველანი და ყველგან ერთობას გაიძახიან, ერთობას აღიარებენ წარმატების საფუძვლად და თქვენ კი ცინიკურათ გაგვიმეორებიათ: „**სანამ ცოცხალ ვარ ასე ვიქ, ვახარებ ჩემსა ჭირსა**“!

სკვითი

რუსეთის ქრონიკა

ჯარის გაგზავნა. „რუს. სლ.“ აცნობებენ დეპეშით, რომ მინსკის მაზრის დაბა სტოლბცში 6 ივნისს გაიგზავნა ორი როტა ქვეითი ჯარისა. როგორც ხმა დადის, იქ დიდი მოძრაობაა თურმე გლეხთა შორის.

სხვა და სხვა წრეების შეერთება. როგორც „რუს. სლ.“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, 6 ივნისს იქ ლიტერატორთა, პროფესორთა, ინჟინერთა, ექიმთა, ფარმაცევტთა, მასწავლებელთა, კანტორის გამგეთა, საერთო—კონსტიტუციონალისტთა, ბეითალთა, ქალთა და ებრაელთა შეერთებულ კრებებს, რომელნიც თხოულობენ თანასწორობასა და სხვას, განუზრახავთ შეადგინონ განსაკუთრებული კომისია ა. გ. ბულიგინის პროექტის განსახილველად და დემოკრატიულ სახელმწიფოთა წეს-წყობილების ძირითად დებულების შესამუშავებლად.

საპატიო წევრების დათხოვნა. „რუსკი ვედომოსტი“-ს სარატოვიდან ატყობინებენ, რომ სარატოვის გუბერნიის დაბალ სკოლების მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების სხდომაზე საპატიო წევრთა რიცხვიდან დაითხოვეს. სარატოვის ეპისკოპოსი გერმოგენი, მღვდელი იოანე კრონშტადტელი და საერო სკოლების დირექტორი კარპოვი.

წერილი რედაქციის მიმართ

ღრმა მწუხარებით და აღშფოთებით წავიკითხე პატივცემულ „ცნობის ფურც.“-ში ის უმაგალითო ქცევა, რაიც მიაყენეს ტფილისის სემინარიაში შეკრებილს ქართლ-კახეთის სამღვდელოებას. დარწმუნებული ვარ, რომ ძმა მოძღვართაგან არც ერთი არ იყო ტფილისს ჩამოსული სამშობლოს საღალატოდ და ქრისტიანე ეკლესიის შესაცვლელად და დასამხობად, არამედ იმ უფსკრულის შესავსებლად, რომელიც აღმოაჩინა და გააზღვავა ბიუროკრატიულმა ყოფა-ცხოვრებამ და მისმა კანცელარიამ, იმ ბიუროკრატიამ, რომელსაც ყოველი იარაღი ჰქონდა, გარდა კაცთ-მოყვარეობისა, ჭეშმარიტებისა და პატიოსნებისა.

სემინარიის დარბაზში, მოძღვართა კრებაზედ, მათრახით და ხმლებით მომქმედებმა თითონ დაიკრეს სახალხოდ და სამაგალითოდ მათრახი და ისეთი ლაქა დაისვეს, რომელსაც ვერ წაშლის მთელი საუკუნე. ვუცხადებ ჩემ ღრმა ზიზღს მაგ შემთხვევის მიზეზებს, ხოლო თანაგრძნობას—ჭეშმარიტების სალალადებლად შეკრებილს სამღვდელოებას.

არხიმანდრიტი ელისე მურადიანი,
რედაქტორი ჟურნალ „არარატისა“.

2 ივნისი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 ივნისი.

ტოკიო, 10 ივნისი. ოფიციალურ მოხსენებით, რუსის ქვეითმა რაზმმა, რიცხვით ათასმა კაცმა, წინ წაიწია 8 ივნისს და შეავიწროვა იაპონიის წინა პოსტები. მაგრამ სოინიახჩენთან, ვანკანტუზუკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10 მილზე, იაპონელებმა უკუაგდეს რუსები, სდიეს მათ და დიდი ზარალი მიაყენეს. რუსის ქვეითის 3 მა ბატალიონმა და კავალერიის 4 ესკადრონმა 12 ზარბაზნითურთ გაილაშქრეს აღმოსავლეთის ოლქებზე გირინის გზით და სამხრეთისკენ წავიდნენ. 8 ივნისს დილის 8 ს. რუსის ქვეითები თანდათან გამოდიოდნენ მაღლობებზე ჩატენგანსა და ლიჩატუნს შორის. რუსის არტილერიამ დაიჭირა ლიენგუანჩანის მაღლობები და სროლა დაიწყო. ნანჩენჩნზუს ჩრდილოეთის მაღლობებს. იაპონიის რაზმმა იერიში მიიტანა მაღლობებზე, გააძევა იქიდან რუსები, დაიჭირა მაღლობები და უკან გამოუდგა მტერს.

ტოკიო, 10 ივნისი. გუშინ იმპერატორის მთავარ სადგომში რჩევა ჰქონდათ პრინც კანინისა, იამაგატასა, კაცურასა, იამომოტოსა, კომუროსა და ტერაუჩის თანადასწრებით.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საბირჟო საზოგადოების საერთო კრებაზე მიიღეს მოხსენება კომიტეტისა 13 ივნისისთვის ბირჟის 13 საზოგადოებათა წარმომადგენლების სიეზდზე წარსადგენათ. მოხსენებაში აღნიშნულია რუსეთის მრეწველობის მდგომარეობა უკანასკნელ ამბების გამო.

ვარშავა. ვარშავის ახლო-მახლო ადგილებში აგარაკებზე გაიფიცნენ პურის-მცხობელნი. მოაგარაკენი უპუროდ სხედან.

ტფილისი. რკინის გზის სახელოსნოების დეპუტაციამ სთხოვა ნამესტნიკს, ზომები მიიღეთ იმ მუშების დასაცველად, რომელთაც მოკვლას ემუქრებიან ტერორისტთა პარტიისადმი არ თანაგრძნობისთვისო. ნამესტნიკმა აღუთქვა ზომების მიღება და ყაზახთა რაზმები და პოლიციის პატრულები დააყენა.

ლოძი. საერთო გაფიცვაა ყველა ფაბრიკებში. ყველა მაღაზიები და საწყობები დახურულია, ქუჩის ფანრები დაამტვრიეს, ტრამვაი აღარ მუშაობს.

პეტერბურგი. პეტერბურგის ერობის კრებამ დაადგინა. სთხოვოს გუბერნატორს მოახსენოს ხელმწიფეს, რომ პეტერბურგის სამაზრო ერობა ღრმა სიხარულს განიცდის მონარქის მიერ დიდ-მნიშვნელოვან სიტყვების წარმოთქმის გამო 6 ივნისს დეპუტაციის მიღებისა დროს.

ბერლინი, 10 ივლისი. დღეიდან მაროკოს კრიზისის დაწყებისა დღეს პირველად დაეცა ასე ძლიერ იმპერიის სესხი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბირჟაზე დიდი შიშია იმის გამო, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის შესაძლებელია ომი ატყდეს, მაგრამ ოფიციოზულ პოლიტიკურ წრეებში იმ აზრის არიან, რომ საშინელების გამო, ერები არ ჩამოაგდებენ ომს ამისთანა საბაბის გავლენით.—ოფიციოზური. შესახებ რუვიეს ნოტისა, რომელიც დღეს გადასცა საფრანგეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს, იუწყებიან, რომ პრინციპიალური უთანხმოება გერმანიასა და საფრანგეთს შორის არ ირღვევა ამ ნოტით.

კოპენჰაგენი, 10 ივნისი. ფინანსისტთა ჯგუფმა გადასწყვიტა, დაარსოს საზოგადოება „აზიის სავაჭრო საზოგადოებ“-ის სახელით, რათა ხელი შეუწყოს ოკეანებს იქით მდებარე ქვეყნებთან ვაჭრობის დამოკიდებულებას, განსაკუთრებით იაპონიასა და დანიასთან, შვეცია-ნორვეგიასთან და, ომის გათავების შემდეგ, რუსეთსა და ფინლიანდიასთანაც. საზოგადოება 19 ივლისს დაიწყებს მოქმედებას.

ნიუ-იორკი. გაზეთების ცნობით, მაროკოს სულთანი სცდილობს სესხი იშოვნოს ამერიკაში. კაპიტალისტთა სინდიკატმა თანხმობა განუცხადა, გაანაღდოს სესხი.

სიმბირსკი. თ. ტრუბეცკოის შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „ციმბირის საბირჟო კრებამ დაადგინა ერთხმად გადაგიხადოთ მადლობა თქვენ და თქვენს თანამშრომლებს იმ წმინდა სამართლისთვის, რომელიც თქვენ წარმოსთქვით ხელმწიფის წინაშე.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 ივნისი

პეტერბურგი. 10 ივნისს არ მოსულა შორეული აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები.

გუნჯულინი, 10 ივნისი. მთავარ-სარდალმა დაათვალიერა ჯარების ერთი ნაწილი და სამაგალითო მდგომარეობაში ჰპოვა იგი. ყველა მეომართ მსუბუქი საზაფხულო ტანთ-საცმელი აცვიათ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს აქაურ სიცხეებში. ჯარის დათვალიერების შემდეგ გამოსცადეს, რამდენად მისახერხებელია სალდათებთან ერთად თივის გადატანაც. მთავარ-სარდალს არ მოეწონა ამგვარი გადაყვანა სალდათებისა.

ვაშინგტონი. ზავის შესახებ მოლაპარაკების შეჩერებას ლამზდორფის ავათმყოფობას აწერენ, ამ ავათმყოფობის ბრალია აგრეთვე რუზველტის მოხსენებაზე პასუხის არ მიცემაო. სხვა დაბრკოლება არ არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჯი, 9 ივნისი. ცნობა, ვითომც რუსებს 2000 ყაზახი ჰყოლოდეს კიონ-სიონს, ჩრდილოეთ კორეიაში და ვითომც მათ უკან დაეხიოთ ბალტიის ესკადრის განადგურების ამბავის მიღების შემდეგ, უსაფუძვლოა. კიონ-სიონთან რუსებს 12 ათასი კაცი ჰყავთ, უმეტესად ყაზახები; დგას აგრეთვე ქვეითების პოლკი და 16 ზარბაზანი. იაპონიის მეზღვაურებმა გაიგეს, რომ რუსები სამხრეთისკენ აპირებენ გამოლაშქრებასო. ამიტომ იაპონიის კოლონამ კიონ-სიონი დაიჭირა 7 ივნისს. რუსებს წინა ჯარებში დაახლოვებით 5 ათასი კაცი ჰყავდათ. იაპონელებმა ვერ აღმოაჩინეს რუსები მუსანის ახლო-მახლო იაპონელებს უფრო გაუძნელდათ საქმე. მკვიდრნი ეშველებოდნენ რუსებს, ლაპარაკობდნენ კიდეც რუსულათ და ბევრს ფულს შოულობდნენ ჯაშუშობით. როცა იაპონელები იერიშით წამოვიდნენ, რუსებმა უკან დაიხიეს. იაპონელებს უნდოდით სამხრეთისაკენ ჩაეტყუილებიათ რუსები, მაგრამ ვერ მოახერხეს. ყაზახებმა ყველა სახლები დაანგრიეს კილჩუს რაიონში; მცხოვრებლები გაიქცნენ.

ტოკიო, 10 ივნისი. აქ მოსულ მოხსენებების თანახმად პოსიეტის ბუხტასა და ვლადივოსტოკს შორის 30 ათასი რუსია. გაზ. „ჯი-ჯი-შიმპო“-მ გამოაქვეყნა ტოსიმას ნალაპარაკევი; ეს ტოსიმა პორტ-არტურის ალყის დროს არტილერიის უფროსობდა, ის განცვიფრებულა როცა, ციხის დაცემის შემდეგ, აუარებელი სურსათი უნახავს რუსებისთვის. მაგრამ ამასთან ის ამტკიცებს, ტყუილია ვითომც სტესელს არ მოეღოს საჭირო ზომები ციხის აცვის კ საგრძელებლად და ვითომ ძლიერ ადრე დანებებოდეს მტერს; მართალია მას ბევრი საზარბაზნე ყუმბარა ჰქონდა, მაგრამ არც ერთი აღარ ვარგოდა, ზოგს ლულებიც აღარ ჰქონდა, ასე რომ ნამდვილათ სტესელი მოკლებული იყო ყუმბარის საშვალებით დაცვას, ფორტების ძალები მინიმუმამდე იყვნენ დამცირებული.

პარიზი. ოსმალეთმა პროტესტი განუცხადა სახელმწიფოებს იმის შესახებ, რომ ბულგარეთმა განზრახვა განაცხადა იოლდის სამხედრო ფლოტი, ბერლინის ტრაქტატის დადგენილების წინააღმდეგ—ჩინეთს განზრახვა აქვს ტიბეტში როგორც მანჯურიაში, მეფის თანაშემწის ადგილი დააარსოს როგორც რომ ინგლის-ჩინეთის ტრაქტატის პირობებს დაადგენენ საბოლოოთ

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ახალი საშუალება
გორო-ნავთალინი

სრულიად სპობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს იმის ამოსვლას. ამასთან თმას ბუნებრივი ფერი ეძლევა. ნება დართულია სამკურნალო განყოფილების მიერ და ცნობილია ისეთ ნივთიერებად, რომელიც ჯანმრთელობას არა ვნებს. საწყობი საათფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობისა, ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში რუსეთის აფთიაქებსა და საათფთიაქო მაღაზიებში. (4—254—1)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოხართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 80 კ. 50 კ.

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ПОНДНА“.**

(წდ.) წიგნის გამგე მაღაზიის **სოსიკო მერკვილაძე.**

დამზღვევი საზოგადოების **„როსიის“** მართველობა—ს.-პეტერბურგში ყველას და საცნობლათ აცხადებს, რომ ივანე ეფიმეს-ძე მასლოვსკი, ამიერ კავკასიის რკინის გზათა სადგურ აბაშის სადგურის თანაშემწე, აღნიშნულ საზოგადოების აგენტათ აღარ ითვლება. (8—260—1)

იბეჭდება და ჩქარა გასასყიდად გამოვა
გრ. ჩარუხჩიანის ნაწერი
„სომეხთა საკითხი რუსეთში“
ფასი 15 კაპ. ადრესი: ტფილისი ბროსსეს ქუჩა, № 5, ა. ა. ოვანესიანცი. (2—256—1)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს, თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაწრაფლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელერ“-ის
საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად
ტყავეულობა
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—Б.—48)

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—2)





პირველი
კუბოს მაღაზია
გიორგი კიკნაძისა

ყველა ნაირი მოწყობილობა, რაც კი ეკუთვნება კუბოებს. ვიღებ შეკვეთას, რასაც ვასრულებთ სუფთად და იაფად. ვანკის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გვერდით. (0—3)

Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები — ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედწარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—10).

Доз. цен. Тифлисъ, 11 Iюня 1905 г.
печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა